მემორანდუმი

დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის დაბრუნების

მიზნით თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 21.12.2015 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომში - „შემოსავლების სამსახური"), წარმოდგენილი მისი უფროსის გიორგი თაბუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს ხალიკ ბანკი საქართველო (შემდგომში - „ბანკი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ბ-ნ ნიკოლოზ გეგუჩაძის სახით, ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის დაბრუნების ეფექტური მექანიზმის შექმნისა და დანერგვის უზრუნველსაყოფად თანხმდებიან ხელი მოაწერონ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის მიზნები

მემორანდუმის მიზანია მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიქმნას და დაინერგოს ეფექტური მექანიზმი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 76-ე-78-ე მუხლებისა და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39^2 მუხლით გათვალისწინებული დებულებების რეალიზების მიზნით.

მუხლი 2. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის ფორმები

1. ფიზიკური პირების მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის დაბრუნების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, „ბანკი" კისრულობს ვალდებულებას:
   - 1.1. ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს (შემდგომში „ფიზიკური პირი"), მათი მოთხოვნის შემთხვევაში და იმ პირობით, რომ არ იარსებებს ანგარიშის გახსნაზე საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტებით დადგენილი უარის თქმის საფუძვლები, გაუხსნას ანგარიში;
   - 1.2. ხელი შეუწყოს „ბანკის" კლიენტი „ფიზიკური პირის" მიერ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის ელექტრონული სახით „შემოსავლების სამსახურისათვის" მიწოდებას.

1.3. „ფიზიკური პირის“ მიერ „შემოსავლების სამსახურში“ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის 1.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, „შემოსავლების სამსახურის“ მოთხოვნისა და „ფიზიკური პირის“ თანხმობის საფუძველზე, „შემოსავლების სამსახურს“ მიაწოდოს ინფორმაცია ამ „ფიზიკური პირის“ „ბანკში“ არსებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების სისწორის შესახებ, ბანკისა და „შემოსავლების სამსახურის“ მიერ შემუშავებული პროტოკოლით დადგენილი ფორმით. ამ პუნქტის მიზნებისთვის „ფიზიკური პირის“ თანხმობის მიღებას უზრუნველყოფს „შემოსავლების სამსახური“;

1.4. სხვა პირზე არ გასცეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია.

2. „შემოსავლების სამსახური“ კისრულობს ვალდებულებას:

2.1. ბანკს მისცეს ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლების მქონე „ფიზიკურ პირთა“ იდენტიფიცირების შესაძლებლობა. ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლების მქონე „ფიზიკურ პირთა“ იდენტიფიცირება ბანკის მიერ შესაძლებელი იქნება „ფიზიკური პირის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „ბანკისათვის“ მიწოდებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საფუძველზე („ფიზიკური პირის“ პირადი ნომრის საფუძველზე);

2.2. „ბანკის“ მიერ ამ მუხლის 1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის განახორციელოს პროგრამული უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი, გარდა მასში რეგულირებული საკითხებისა, არ იწვევს მხარეთათვის დამატებითი ვალდებულებების წარმოშობას და არ აკისრებს რომელიმე მათგანს მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის სანაცვლო რაიმე სახის ანაზღაურების თუ კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას.
2. მემორანდუმით მხარეები თანხმდებიან, იქონიონ რეგულარული კავშირი თანამშრომლობის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი ტექნიკური თუ სხვა სახის პრობლემის დროული აღმოფხვრისა და პროცესის შეუფერხებელი წარმართვის მიზნით. ამ მიზნებისათვის „შემოსავლების სამსახურის“ საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართია - daubegraviminimumi@rs.ge.
3. წინამდებარე მემორანდუმი მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე, თუ მემორანდუმის ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე წერილობითი ფორმით არ განაცხადებს, რომ სურს ვადაზე ადრე შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება. შეტყობინება მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ უნდა განხორციელდეს ინიციატორი

მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი სახით შეტყობინების გაგზავნის გზით, მემორანდუმის შეწყვეტის თარიღამდე არანაკლებ 30 სამუშაო დღით ადრე.

4. მხარეთა დამატებითი შეთანხმება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მემორანდუმით, შეიძლება დაფიქსირდეს დანართი დოკუმენტის სახით ან დარეგულირდეს ცალკე ხელშეკრულებით მხარეთა სურვილისამებრ. იმ შემთხვევებში და ურთიერთობებისას, რომლებიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე და არ არის ამ ან სხვა დოკუმენტით დეტალურად რეგულირებული, მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად.
5. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას.
6. მემორანდუმი ხელმოწერილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად მხარეთა შორის ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.
7. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ.

„შემოსავლების სამსახური“	„ბანკი“
სსიპ შემოსავლების სამსახური ქ. თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16 საიდენტიფიკაციო კოდი №204525585	სს ხალიკ ბანკი საქართველო ქ.თბილისი, 0171, შარტავას ქ. 40 საიდენტიფიკაციო კოდი 205236537
გიორგი თაბუაშვილი	**ნიკოლოზ გეგუჩაძე**
შემოსავლების სამსახურის უფროსი	გენერალური დირექტორი